პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით! | სამშაბათი, 1 დეკემბერი 1925 წ. | წელიწადი მეხუთე | ფასი 3 კ.

# წითელი მეომარი

273 (971) | 1 და 2 ქართული მსრ. დივ. პოლიტ-განმანათლებლური გაზეთი | რედაქც. მისამართი: ტფ., ევანგულოვის ქუჩა ცლ. №ენი 2—24 | განცხ. ფასი პირ. გვ. 80 კ. სტ. 4 გვ. 40 კ.

## საერთო ძალით, ხელიხელ ჩაკიდე გული.

ჩვენი წითელი ჯარის ახალი შევსება შეუდგა სამხედრო-პოლიტიკურ სწავლებას.

მეთაურებმა და პოლიტ-მომუშავეებმა ყოველგვარი ზომები უნდა მიიღონ, რათა რაც შეიძლება მეტი წარმატებით და ნაყოფიერობით აწარმოონ სამისწავლო პროგრამის გავლა ახალწვეულებთან.

მეთაურთა და პოლიტშემადგენლობას ამ მხრივ მთელი თავისი შეგნებით და ენერგიით აქტიური დახმარება უნდა გაუწიონ აგრეთვე ძველმა წითელ არმიელებმაც.

ცხადია ახალგაზრდა წითელ არმიელი უცბად ვერ შეითვისებს ყველაფერს რასაც მას სამწყობრო ან პოლიტმეცადინეობაზე გადასცემს მეთაური და პოლიტხელი.

აქ მას უნდა დაეხმაროს შემოდგომელი—1924 წელში შემოდგომაზე გაწვეული წითელ არმიელი, რომელიც თავისი სამხედრო და პოლიტიკურ მომზადებით და საკვირველი გაცილებით მაღლა სდგას ახალ მოსულზე. ძველი წითელ არმიელი მოვალეა ყოველთვის ხალისით და გულდასმით აუხსნას და განუმარტოს თავის ახალ ამხანაგს ესა თუ ის საკითხი სამხედრო და პოლიტიკურ დარგიდან, რომელშიდაც ახალწვეული ცუდად ერკვევა. ცხადია შემოდგომელმა ყოველივე ეს უნდა გააკეთოს ამხანაგური რჩევა დარიგებისა და ახსნის სახით.

აქ ყოვლად დაუშვებელია მრძანებითი თუ სხვა ამდაგვარი კილო. ამ შემთხვევაში ძველი წითელი არმიელი მხოლოდ დასცილდება და არ დაუახლოვდება ახალ მოსულს.

ძველი წითელი არმიელის მოვალეობას კი შეადგენს, რაც შეიძლება ახლო მიიდეს თავის ახალგაზრდა ამხანაგთან, ხელი შეუწყოს მის სამხედრო გაწვრთვნას და პოლიტიკურ განვითარებას, როგორც პირადი მაგალითის მიცემით, ისე ამხანაგური რჩევა დარიგებით. სამწყობრო მეცადინეობის დროს თუ პოლიტსაათზე, ლენკუთხის მუშაობაში თუ კლუბში, დისციპლინის განმტკიცებაში თუ უფროსების განკარგულებების მტკიცედ შესრულებაში-ერთი სიტყვით ყველაფერში ძველი წითელ არმიელი მუდამ და ყოველთვის უნდა იყოს საუკეთესო მაგალითი ახალწვეულისათვის. და არ თუ მარტო ძველი წითელ არმიელები ახლების მიმართ, არამედ ყოველივე აქტიური, შეგნებული წითელ არმიელი ყოველმხრივ უნდა სცდილობდეს დააწინაუროს ჩამორჩენილი და ხელი შეუწყოს მას გაუთანასწორდეს თავის მოწინავე ამხანაგებს.

ასე ამ რიგად, ხელი-ხელ ჩაკიდებული, ერთმანეთისადმი აქტიური დახმარებით გავაძლიეროთ წითელი არმიის საბრძოლო უნარი და გავასალკდევოთ მისი რიგები.

## წითელ არმიელო! თვალყური ადევნე კომპარტიის ყრილობის მუშაობას.

### შეისწავლე მისი დადგენილებები.

გუშინ გაიხსნა საქართველოს კომუნისტური პარტიის მეოთხე ყრილობა.

საქართველოს კომპარტია ქართველი მუშების და გლეხების ხელმძღვანელი პარტია არის.

მისი მეთაურობით მიაღწიეს საქართველოს მშრომელებმა თავისუფლებას და მოიშორეს თავიდან ბურჟუაზიის და თავად-აზნაურობის ბატონობა.

მისივე ხელმძღვანელობით აშენებენ ჩვენი ქვეყნის მუშები და გლეხები ახალ სოციალისტურ საქართველოს.

კომპარტია მუშების და გლეხების ერთად-ერთი ბელადია. ის მუდამ მიუთითებს სწორ გზას მშრომელ ხალხს სოციალიზმისა და კომუნიზმისაკენ.

თავის ყრილობაზე კომპარტია ჯამს უკეთებს წარსულ მუშაობას და ისახავს ახალ ამოცანებს, რომლებიც კიდევ უფრო წინ წასწევენ მუშურ-გლეხურ რესპუბლიკას სოციალისტური აღმშენებლობის გზაზე.

ამიტომაც თითეული მუშა და გლეხი მოვალეა დიდის ყურადღებით ადევნოს თვალყური კომპარტიის ყრილობას და გაცნობილი იყოს ყველა მის დადგენილებებთან.

ამას მოითხოვს თვით მშრომელი ხალხის ინტერესები.

კომპარტიის თითეული დადგენილება, მის მიერ დასახული თითეული ამოცანა მხოლოდ მაშინ გატარდება ცხოვრებაში სწრაფად, ნაყოფიერად და უმტკივნეულოდ, როცა ყველა მშრომელებს სწორად და კარგად ეცოდინებათ ამ დადგენილებების მთელი შინაარსი და თვით მუშები და გლეხები აქტიურ მონაწილეობას მიიღებენ მათ გატარებაში.

კომპარტიის ყრილობის მსვლელობას აგრეთვე თვალყური უნდა ადევნოს მუშურ-გლეხური წითელ არმიის წითელ მებრძოლმაც.

თითეულ წითელ არმიელმა კარგად უნდა იცოდეს თუ რა ამოცანებს ისახავს მუშების და გლეხების ბელადი კომპარტია, როგორ სწყვეტს ის ამა თუ იმ საჭირბოროტო საკითხს, რომელიც წამოაყენა ცხოვრებამ სოციალისტური საბჭოთა სახელმწიფოს წინაშე.

ჩვენი პარტიის მეოთხე ყრილობის წინაშე კი მეტად სერიოზული და დიდი მნიშვნელობის საკითხები სდგას, როგორც მრეწველობის შემდეგი განვითარების საკითხი, სოფლად მუშაობის და ძირითად საბჭოთა აპარატის ხელახალი გადარჩევის საკითხი და სხვა.

ყველა ამ საკითხებს პარტიული ყრილობა საფუძვლიანად გაარჩევს და ჯეროვანადაც გადასჭრის.

ჩვენმა წითელარმიელებმა კარგად უნდა გაერკვიონ ყველა ამ დადგენილებებში და თავის მხრივ უნდა აუხსნან და განუმარტონ ისინი გლეხებს პირადი საუბრების დროსა თუ სახლში წერილების მიწერით.

თითეული წითელარმიელი კომპარტიის ხაზის აქტიური და ენერგიული გამტარებელი უნდა იყოს.

ამისათვის საჭიროა, რომ ის პარტიის მთელი მუშაობის კურსში იყოს და კარგად იცოდეს ყველა მისი ყრილობების დადგენილებები.

წითელარმიელო! თვალყური ადევნე პარტიის მეოთხე ყრილობის მუშაობას. კარგად შეითვისე ყველა მისი დადგენილებები და ყოველ მხრივ ხელი შეუწყვე მათ ნაყოფიერად გატარებას ცხოვრებაში.

ლ. ჩ.

# ახალი რადიო-ამბები

## საფრანგეთის ახალი მთავრობის შემადგენლობა.

შესდგა საფრანგეთის ახალი მთავრობა შემდეგი შემადგენლობით:

ბრიანი—მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე და საგარეო საქმეთა მინისტრი; შოტანი—იუსტიციი; დალადიე—შინაგან საქმეთა; პენლევე—სამხედრო; ლეიგი—ზღვათა, რუსტანი—განათლების; ვენსანი—ვაჭრობის; დე-მონზი—საზოგადოებრივ სამუშაოთა; დიურაფური—შრომის; პერიე—კოლონიების; დიურანი—მიწადმოქმედების; ლუშერი—ფინანსთა.

## გერმანია და ლოკარნოს ხელშეკრულება

### გერმანიის მთავრობამ მიიღო კანონი ლოკარნოს ხელშეკრულების შესახებ.

### პრეზიდენტ ჰინდენბურგმა ხელი მოაწერა ხელშეკრულების კანონს.

გაიმართა მუშათა დემონსტრაცია ლოკარნოს ხელშეკრულების წინაალმდეგ.

— გერმანიის მთავრობამ მიიღო კანონი ლოკარნოს ხელშეკრულების შესახებ. კომუნისტებმა წინადადება შეიტანეს, რათა გადიდებულიყო 2 თვით კანონის ცხოვრებაში გატარება. ეს წინადადება არ გაიდა, ვინაიდან გერმანიის ნაციონალისტებმა თავი შეიკავეს ხმის მიცემისაგან.

— ნაციონალისტებმა შეიტანეს რეიხსტაგში მთავრობისადმი უნდობლობის წინადადება, მაგრამ ის უარყოფილ იქნა 285 ხმით 121-ს წინაალმდეგ.

— გერმანიის პრეზიდენტ ჰინდენბურგმა ხელი მოაწერა კანონს ლოკარნოს ხელშეკრულებისა და გერმანიის ერთა ლიგაში შესვლის შესახებ.

## კლარა ცეტკინას სიტყვა ლოკარნოს ხელშეკრულების შესახებ

### ცეტკინას სიტყვამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა რეიხსტაგის დეპუტატებზე.



რეიხსტაგში ლოკარნოს ხელშეკრულების შესახებ ილაპარაკა კლარა ცეტკინამ (გერმანიის კომპარტიის გამოჩენილი წევრია). ცეტკინას სიტყვამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ყველა ჯგუფის დეპუტატებზე. დეპუტატები დიდის ყურადღებით უსმენდნენ მის სიტყვას.

კლარა ცეტკინას რეიხსტაგში გამოსვლის შესახებ ერთი ბურჟუაზიული გაზეთი სწერს: „ეს იყო იშვიათი შემთხვევა, როცა კომუნისტების უხუცესი ბელადი ქალი მთელი თავისი ძლიერი რწმენით იცავდა კომუნისტურ თვალსაზრისს. იშვიათია ასე მიეზიდოს მთელი პარლამენტის ყურადღება ორატორს (მოლაპარაკეს).

28 ნოემბერს კომპარტიის თაოსნობით ბერლინში გაიმართა მუშათა დიდი დემონსტრაცია ლოკარნოს ხელშეკრულების წინაალმდეგ.

## პეკინში (ჩინეთში) სწარმოებს რევოლიუციონური დემონსტრაციები.

### გომინდანმა და კომპარტიამ გამოუშვა დეკლარაცია.

პეკინის უკანასკნელი დემონსტრაცია რევოლიუციონური ხასიათის იყო. დემონსტრაციას, როგორც სჩანს ხელმძღვანელობდა კომუნისტები და გომინდანის მარცხენა ფრთა.

29 ნოემბერს გაიმართა კიდევ დიდი მიტინგი, რომელზედაც ილაპარაკეს ჩინეთის გამოჩენილ საზოგადოებრივ მოღვაწეებმა. მიტინგმა გამოიტანა რეზოლიუცია, რომელშიაც წამოყენებულია შემდეგი მოთხოვნილებანი: პეკინის მთავრობის უფროსის დუან-ცზი-ჩჟუის გადაყენება; დროებითი სახალხო კომიტეტის შედგენა, რომელმაც უნდა მოიწვიოს სახალხო კრება; არა თანასწორუფლებიან ხელშეკრულებათა გაუქმება და საბაჟო დამოუკიდებლობის აღდგენა.

დაახლოვებით ასეთივე შინაარსის დეკლარაცია გამოუშვა გომინდანმა და კომუნისტურ პარტიამ.

## ინგლისის სამთო-მადნო მუშათა პროტესტი.

ინგლისის სამთო მადნო მუშათა გაერთიანების აღმასკომმა გამოიტანა რეზოლიუცია, რომელშიაც მოითხოვს 12 კომუნისტის განთავისუფლებას და პროტესტს აცხადებს სიტყვისა და ბეჭდვის თავისუფლების დარღვევის წინაალმდეგ.

## ნორვეგიის ფაშისტების მოთხოვნილება.

ნორვეგიის ფაშისტებმა წარუდგინეს ნორვეგიის მთავრობას მოთხოვნილება დაშალოს ნორვეგიის კომუნისტური და მუშათა პარტიები.

## ბარბიუსის წასვლის შემდეგ ცემა და წამება რუმინეთის ციხეებში.

რუმინეთიდან წავიდა მწერალ ბარბიუსის კომისია, რომელიც ჩამოსული იყო იქ მშრომელთა მდგომარეობის გასაცნობად და რომელიც დაესწრო თათარბუნარის აჯანყების საქმეს. ბარბიუსის წასვლის შემდეგ რუმინეთის ხელისუფლებამ კვლავ განაახლა სასტიკი ზომები აჯანყების ბრალდებულთა მიმართ, რომლებსაც სასტიკად სცემენ და აწამებენ.

## ბესარაბიელ ჯალათის გასამართლება.

დიდი ხნის გაჭიანურების შემდეგ ბუქარესტის სამხედრო სასამართლომ დაიწყო გარჩევა ბესარაბიელ მკვლელის ობერლეიტენანტის მორარესკუს საქმე, რომელსაც ბრალი ედება 40 კაცის მოკვლისა და ასეულ გარდახვეწილთა გაძარცვაში.

მორარესკუმ განაცხადა, რომ მკვლელობანი მან ჩაიდინა უფროსების ბრძანებით. ამას გარდა გამოტყდა, რომ ის თავის ხელქვეითთ გზავნიდა ყალბი საბუთებით საბჭოთა უკრაინაში, სადაც უნდა შეეძინა ცხენები თავისი რაზმისათვის.

## არევდარევა პოლონეთის არმიაში.

პოლონეთის ჯარის ზოგიერთ ნაწილებში დიდი არევ—დარევაა. ოფიცრობა ორ ბანაკად გაიყო: პილსუდსკის მომხრეებად და მის მოწინააღმდეგებად.

პილსუდსკის მომხრე ოფიცრებმა დაადგინეს არ აასრულონ კორპუსის უფროს ბერბეცკის ბრძანება.

ამბობენ, რომ ორი ლეგიონი ვილნოს ოლქიდან გადაჰყავთ პოლონეთის შუაგულ ადგილებში.

## რეაქციონური გამოსვლები არზრუმში.

რამოდენიმე თვის წინად ოსმალეთის მთავრობამ შეიტანა ცვლილება ოსმალეთის ხალხის ყოფა-ცხოვრებაში. სასულიერო მიმართულებამ და ძველი ჩვეულების მომხრეებმა 23 ნოემბერს გამართეს ამის წინააღმდეგ დემონსტრაცია.

დემონსტრანტები გაიძახოდენ: „ძირს ურწმუნოები და მოხელეები, რომლებმაც შემოიღეს ევროპიული ქუდების ტარება. ჩვენ არ დაუშვებთ მზაკვრობას ჩვენს ადათ-ჩვეულებაზე რომელიც ნაკურთხია სარწმუნოებით“.

ანგორის მთავრობამ სამხედრო წესები გამოაცხადა არზრუმის ოლქში და დაარსა სამხედრო საველე სასამართლო. დაპატიმრებული და სასამართლოში მიცემულია ასამდე კაცი, რომლებმაც მოაწყვეს გამოსვლები.

## ამიერ-კავკასიის შესწავლისათვის.

ამიერ-კავკასიის შესწავლას ჩვენი ჯარის ნაწილებში უნდა მიექცეს უაღრესი ყურადღება. ყოველი მეთაური და პოლიტმომუშავე უნდა ზედმიწევნით იცნობდეს საქართველოს და მის მეზობელ რესპუბლიკებს.

რომ მკვიდრ ნიადაგზე იქნეს დაყენებული ამიერ-კავკასიის შესწავლის საქმე, ამისათვის ნაწილებში არსდებიან ამიერ-კავკასიის კუთხები და პოლიტსაგანმანათლებლო კაბინეტებთან ეწყობა ამიერ-კავკასიის განყოფილება. ამასთანავე ჩვენ წინ სდგება საკითხი: ვინ გაუწევს ხელმძღვანელობას ამ საქმეს? ჩვენ ნაწილებში თითქმის არ მოიძებნება არც ერთი მეთაური და პოლიტმუშაკი, რომელსაც შეეძლოს ამ საქმის გაძღოლა და ხელმძღვანელობა. საჭიროა მომზადება ამ საქმის ხელმძღვანელების. ამ მიზნით პოლიტგანყოფილება აწყობს ლექციების მთელ რიგს ამიერ-კავკასიის შესწავლისათვის. ლექტორებად მოწვეულ არიან ამიერ-კავკასიის საუკეთესო მცოდნე პირნი. ამ ლექციების მიზანია აღჭურვოს მეთაურნი და პოლიტმუშაკნი ცოდნით ამიერ-კავკასიის ისტორიიდან, მისი დღევანდელი ვითარებიდან. ლექციები ეხება აგრეთვე რევოლიუციონურ მოძრაობას ამიერ-კავკასიაში, ეროვნულ საკითხის მდგომარეობას წინათ და ეხლა.

ეს ლექციები მისცემენ ჩვენ მეთაურებს და პოლიტმომუშავეთ მდიდარ მასალას მომავალ მუშაობისთვის.

საჭიროა, რომ ჩვენმა მეთაურებმა და პოლიტმუშაკებმა სავსებით გაითვალისწინონ მთელი მნიშვნელობა ამ საქმის და მოეკიდონ მას მხურვალედ. ყოველი მათგანი ვალდებულია დაესწროს ლექციებს სისტემატიურად.

აგრეთვე უნდა მიაქციონ ყურადღება ამიერ-კავკასიის შესწავლას სკოლის გარეშე მომუშავე ამხანაგებმა, ვინაიდან მთელი სიმძიმე ამ საქმის დააწვება კლუბს, ლენინის კუთხეს და წრეებს.

ბიბლიოთეკები ეხლავე უნდა შეუდგნენ აღრიცხვას და გამოყენებას იმ წიგნებისას, რომლებიც ეხებიან ამიერ-კავკასიას.

ე. ხუციშვილი.

## უცხო სიტყვების ახსნა.

**რეიხსრატი**—გერმანიის სახელმწიფო საბჭო, რომელშიაც შედიან გერმანიის ცალკე სახელმწიფოების წარმომადგენლები.

**რეიხსტაგი**—სრულიად გერმანიის პარლამენტი (უმაღლესი სახელმწიფო დაწესებულება).

**დემონსტრაცია**—ქუჩაში დარაზმულად გამოსვლა რაიმე მოთხოვნილებით.

**ნეიტრალიტეტი**—შუა პოზიციაზე დგომა, სხვების კამათში ან ჩხუბში ჩაურევლობა.

**პროვინცია**—ქვეყნის შუა ადგილიდან დაშორებული, განაპირებული ადგილი.

**ბაზა**—საფუძველი, დასაყრდნობი ადგილი.

**ცენტრი**—შუაგული, შუა ადგილი.

**მიტინგი**—ფართე, საჯარო კრება.

**რეაქცია**—მიმართულება, რომელსაც სძულს ყველაფერი ახალი და ყოველთვის სცდილობს ძველის დაბრუნებას.

## ახალწვეულო, გულმოდგინედ შეუდექი სამხედრო საქმის შესწავლას.

### უნდა შეგეძლოს შაშხანის გამოყენება ცივ იარაღად.

ბრძოლაში რომ გაიმარჯვო, უნდა წარსდგე მტერთან პირისპირ, უნდა შეება მას ხიშტით ხელჩართულ ბრძოლაში. ხშირად ბრძოლის სწყვეტს ცივი იარაღი. თვითეულ მსროლელს კარგად უნდა შეეძლოს როგორც მარჯვე სროლა, ისე ხიშტით კვეთება და კონდახით დარტყმა.

როცა პირველად იღებ ხელში შაშხანას, ის მძიმე და სახმარად ძნელი გეჩვენება. წითელ-არმიელთა უმეტესობა საკმაოდ ღონიერია, მაგრამ არ შეუძლია ამ ღონის სათანადოდ გამოყენება და დაზოგვით ხარჯვა. პირველ ხანებში თოფის ხმარების შესწავლა შეუჩვევლობის გამო ღლის წითელ-არმიელს და საერთოდ მისი მოძრაობა შაშხანის ილეთების შესწავლის საქმეში მოუხეშავი და ტლანქია. ხელჩართული ბრძოლა კი მოითხოვს სწრაფ და მოქნილ მუშაობას შაშხანით. ამიტომ სანამ ხიშტით ბრძოლის სწავლას დაიწყებდენ, ახალგაზრდა წითელ-არმიელები გადიან მოსამზადებელ ვარჯიშს.

ეს საჭიროა იმისთვის, რომ წითელ-არმიელში გამომუშავებულ იქნას სიმარდე, მოქნილობა და დამოუკიდებელი მოძრაობა.

როგორც იარაღის და სროლის სწავლება სწარმოებს სამსახურის დაწყების პირველ დღედანვე, ისე ხიშტით კვეთებაც იმ თავითვე სწარმოებს. როგორც ერთის, ისე მეორეს სწავლებაც სწარმოებს მთელი სამსახურის ვადის განმავლობაში.

ამრიგად, რომ კარგი მსროლელი იყო, საჭიროა იცოდე არა მარტო მარჯვე სროლა, არამედ ხიშტით კვეთება და კონდახით დარტყმაც. ჩვენი შაშხანა მითაა კარგი, რომ შეგიძლია მოახმარო ის ერთ და იმავე დროს, როგორც ცეცხლისმტყორცნი და როგორც ცივი იარაღი. ახალგაზრდა წითელ-არმიელის წინაშე დიდი ამოცანა სდგას; ეს ამოცანა როგორც მარჯვე სროლის, ისე ხიშტით კვეთების კარგად შესწავლა.

პ.

თუ გაინტერესებთ არმიის ყოფა-ცხოვრება, სამხედრო ტეხნიკის განვითარება და რა ხდება უცხოეთის არმიებში

გამოიწერეთ „წითელი არმიელი“

## დღიურის მოვალეობანი თავლაში

ხშირად ამბობენ, რომ დღიურს თავლაში არაფერი აქვს გასაკეთებელიო. ნამდვილად კი თავლაში მეტი სამუშაოა, ვიდრე ყაზარმაში.

ხუმრობა ხომ არაა, თვითეული ცხენი მოითხოვს მოვლას.

როცა უმწყობრო წითელარმიელები თავლის დაგვა-დ წმენდის შემდეგ წავლენ, მთელი თავლის მოვლა დღიურის ხელში რჩება.

მან უნდა მისცეს ცხენებს თივა, უნდა ადევნოს თვალყური ცხენებმა თივა არ მოაბნიოს, ჩხუბის დროს ცხენები გიაზოვოს, მოუსვენარი ცხენი დააბას და მრავალი სხვა.

გარდა ამისა უნდა ადევნოს თვალ ყური სისუფთავეს—გაიტანოს თავის დროს პატივი და სუფთად მოჰგავოს.

ღამით, ცხენებმა რომ დაწოლა შესძლონ, მოგრძოდ უნდა დააბას. უნდა დაუგოს თივა, ხოლო თუ თივა დაასველა ცხენმა—გამოუცვალოს.

უნდა ადევნოს თვალყური, რომ სანათმა ცეცხლი არ გააჩინოს. მთელი ღამე არ უნდა იძინოს.

ეს კიდევ ცოტაა; უნდა ადევნოს თვალყური—ხომ არ გაუთავდა ცხენს თივა, ან ხომ არ იტკივებს ფეხს? თუ ცხენი ფეხს იღებს, ცხადია, ის ავადაა. ამის შესახებ უნდა მოახსენო მორიგეს, რათა მიიღოს ზომები აქიმობისთვის.

დღიურობის მიღებისას უნდა დაითვალოს ცხენები და შემდეგ, მორიგის ნებადაურთველად არავის არ უნდა გაატანოს ცხენი. უნდა გასინჯოს, ხომ წესრიგზეა ცხენის მოწყობილობა და ამუნიცია დაკიდული, თუ არა—უნდა გაასწოროს.

არავის არ უნდა მისცეს თავლის ახლოს თამბაქოს მოწევის უფლება და არც თვითონ უნდა მოსწიოს, თორემ თუ ცეცხლი გაჩნდა, ცხენების გამოყვანასაც ვერ მოასწრებს.

ცხენებს უყვარს სუფთა ჰაერი. ამიტომ ხშირად უნდა გაასუფთაოს ჰაერი, მაგრამ ისე, რომ ცხენები არ გააციოს გაღებულ კარებში. თავლას არ უნდა მოშორდეს; თუ სადილზე ან სხვა საქმეზე მიდის, უნდა აიღოს ნებართვა და გადასცეს დღიურობა სხვას.

ყოველივე ამის შემდეგ დაეჯერება განა ვინმეს, რომ დღიურს თავლაში არაფერი არ აქვს გასაკეთებელი?

ამიტომ ახალგაზრდა წითელარმიელებს დღიურობის ასრულების დროს, კარგად უნდა ახსოვდეს ყველა ზემოჩამოთვლილი და ერთგულად უნდა მოუაროს ცხენს, რომელიც ადამიანის საუკეთესო თანაშემწეა მძიმე სამუშაოს ასრულებაში.

ი. ბარ.

## ეროვნულ განმათავისუფლებელი ბრძოლა აღმოსავლეთში.

### სამოქალაქო ომი ჩინეთში.

(კვირეული მიმოხილვა)

ჩინეთის რევოლიუციონურ მოძრაობის გაძლიერებამ, რომელიც გამოიწვია შანხაის დემონსტრაციის დახვრეტამ, დროებით შეაჩერა ბრძოლა სხვა და სხვა შინაურ ჯგუფებს შორის. ეროვნულ განმათავისუფლებელ მოძრაობის შენელების შემდეგ ეს ბრძოლა კვლავ განახლდა. ასპარეზზე გამოდის გენერალი უ-პეი-ფუ, რომელმაც გასულ წელს დამარცხება იგემა. მისმა მომხრემ გენერალ სუნ-ჩუან-ფანმა დაიკავა ქ. შანხაი, რომელშიაც იყო ჩჟან-ძო-ლინის ჯარები და ხელში ჩაიგდო მთელი პროვინცია ზზიან-სუ (შანხაი ამ პროვინციის მთავარი ქალაქია).

მესამე ჯგუფი ფინ-იუი-სიანის მეთაურობით სცდილობდა ერთ ხანს ნეიტრალიტეტის დაცვას, მაგრამ იძულებული შეიქნა გამოსულიყო ჩჟან-ძო-ლინის წინააღმდეგ. ჩჟან-ძო-ლინი მანჯურიის მემამულეებისა და ჩრდილოეთ ჩინეთის ბურჟუაზიის წარმომადგენელია. უ-პეი-ფუს ემხრობა ჩინეთის ცენტრალურ ადგილების ბურჟუაზია; ფინ-იუი-სიანი საშუალო ბურჟუაზიის წარმომადგენელია. ამ ჯგუფებს შორის საქმეს ამწვავებს იმპერიალისტური სახელმწიფოების გავლენა. მაგ., ჩჟან-ძო-ლინი იაპონიის და ნაწილობრ ინგლისის ფალავანია, რომლებიც უკანასკნელს დიდ დახმარებას უწევენ.

ჩჟან-ძო-ლინის დამარცხება სრულიად მოსპობს იაპონიის გავლენას ჩინეთში. ამიტომაა, რომ იაპონია მოითხოვს ჩინეთის საქმეებში აშკარა ჩარევას. იაპონიამ წამოაყენა საერთაშორისო კანტროლის გეგმა ჩინეთზე, სანამ ის არ შეჰქნის ქვეყნის გამაერთიანებელ მტკიცე მთავრობას. თითქოს იაპონია და სხვა იმპერიალისტები არც კი ცდილან ჩინეთის დანაწილებაზე!

გამარჯვებისთვის მეტი პირობები აქვს „სახალხო“ არმიების სარდალს გენერალ ფინ-იუი-სიანს. მისი გამარჯვება დაამარცხებს უკიდურეს რეაქციას; ამ თვალსაზრისით ეს წარმატება იქნება ეროვნულ განმათავისუფლებელ მოძრაობისთვის. მაგრამ არ შეიძლება ვიფიქროთ თითქოს ფინ-იუი-სიანი რევოლიუციის ხანგრძლივი თანამგზავრი იყოს. სუნ-ჩუან-ფანის მაგალითი, რომელმაც განდევნა შანხაიდან ჩჟან-ძო-ლინი, მაგრამ მუშათა მოძრაობის წინააღმდეგ სასტიკ ზომებს მიმართავს, გვიჩვენებს, თუ რა არის მოსალოდნელი ფინ-იუი-სიანისაგან.

ჭეშმარიტი რევოლიუციონური მიმართულება არის მხოლოდ გომინდანის პარტია, რომელსაც ხელსუწყობს ჩინეთის კომპარტია. ეს პარტია ხელმძღვანელობს კანტონის მთავრობას. ამ ბოლო დროს კანტონის მთავრობამ რამოდენიმე მსხვილი გამარჯვება მოიპოვა მოპირდაპირეებთან ბრძოლაში. გენერალი ჩუან-ცზიუ-მინი, რომელსაც ეხმარება ინგლისი, თითქმის სრულიად დამარცხდა და განდევნილ იქნა გუან-დუნიდან, რომელშიაც კვლავ განმტკიცდა კანტონის მთავრობა. ამრიგად ეროვნულ განმათავისუფლებელ მოძრაობის ბაზა ჩინეთში გაფართოვდა.

## ბრძოლის მიმდინარეობა სირიაში.

ეროვნულ განმათავისუფლებელი მოძრაობა სირიაშიც ფართოვდება. დრუზების მიერ დაწყებული აჯანყება არაბულ სხვა ტომებსაც მოედო. ის ჰპოულობს გამოძახილს არაბთა მეზობელ ქვეყნებშიც, როგ. მაგ. პალესტინაში. თუმცადა, ცხადია, აჯანყებას ხელს უწყობს ინგლისი და წარმოადგენს იმპერიალისტებს შორის ბრძოლის შედეგს, მაგრამ მისი შემდეგი განვითარება საშიში იქნება იმპერიალიზმისთვის. ის ამჟამად ხდება არაბთა მოძრაობის ცენტრი. აჯანყება სწარმოებს არაბთა უცხოელ ჩაგვრისაგან განთავისუფლების ლოზუნგით. ფრანგების ჯარების დამარცხება სცემს ევროპიელების პრესტიჟს საერთოდ. თუ სირიელებმა გაიმარჯვეს (ერთგვარი გამარჯვებები უკვე მოიპოვეს), შესაძლებელია, რომ აჯანყება მთელ არაბეთს მოედოს.

ი. ფ.

# წითელი ყაზარმა შეუდგა გაცხოველებულ მუშაობას.

## წითელი ყაზარმის სტუმრები.

მე-2 ლეგ. მე 2 ათასეული.

ამ რამოდენიმე დღის წინად ათასეულის ყაზარმებში, კარანტინიდან გადმოყვანილი იქნენ ახალწვეული წითელ არმიელები. ნაწილში დარჩენილი უმცროსი მეთაურები და წითელი არმიელები აღფრთოვანებით შეხვდენ მათ მოსვლას. ამხანაგების მოსვლამ გამოაცოცხლა დროებით მიყრუებული ყაზარმები. განახლდა ცხოვრება, დაიწყო მუშაობა წრეების, ბიბლიოთეკის, ლენინის კუთხის და სხ.

ყაზარმა სრულიად გამოცოცხლდა. პოლიტ-საათები სისტემატიურად მიმდინარეობს სადაც შექდება: ლენკუთხე და მისი დანიშნულება, პოლიტმეცადინეობის მიზანი, ლენინი და მისი როლი მუშურ-გლეხური ხელისუფლების განმტკიცების საქმეში. აი ჯერ-ჯერობით ჩვენი პოლიტსაგანმანათლებლო მუშაობის ხასიათი.

ახალწვეულები დიდი ყურადღებით ეკიდებიან მეცადინეობას.

ხშირია შემთხვევა, როდესაც გაიგონებთ ახალწვეულებისაგან —ჩქამდე სად ვიყავით, რატომ არ ვიცოდით, რომ წითელ ჯარში ასე ერდგულად ასწავლიდენ ყველაფერსო.

ასე კარგად გრძნობენ თავს ახალწვეულები ყაზარმაში.

წ. არმ. ლია.

## ხშირად ასეთი ექსკურსიები.

მე-2 არტლეგიონი.

28 ნოემბერს ლეგიონის სამოსწავლო ბატარეიამ მოაწყო ექსკურსია ტყავ-ტრესტის დასათვალიერებლად. ექსკურსიამ მოლოდინს გადააჭარბა თავისი შედეგებით. ნაწილის ახალწვეულთა უმრავლესობა პროვინციების მიყრუებულ სოფლებიდან არიან, რომლებსაც ოდნავი წარმოდგენაც არ ჰქონდათ ტყავის დამზადებაზე.

ამხანაგები დიდი სიხარულით მიდიოდენ ქარხანაში თითეულ მანქანასთან, ათვალიერებდენ მას, სურდათ დაწვრილებით გაეგოთ მათი აგებულება, თუ როგორ მუშაობდენ, რა დანიშნულებას ასრულებდა თითეული და სხვა. თითეულ შეკითხვაზე ამომწურავ პასუხს იძლეოდენ მანქანებზე მომუშავე მუშები, რომლებიც ძლიერ მეგობრულად შეგვხვდენ. ქარხანამ ძლიერ კარგი შთაბეჭდილება დასტოვა ახალწვეულებზე.

რამოდენიმე ხნის შემდეგ ისევ წყობილებით მოვემგზავრებოდით ყაზარმებისაკენ და კიდევ დიდხანს ლაპარაკობდენ ამხ. იქ მიღებულ შთაბეჭდილებების შესახებ.

მეთაურები მადლობის ღირსი არიან ამ ექსკურსიისათვის და კარგი იქნება ხშირად მოაწყობენ ასეთებს.

წ. არმ. კო—განი.

## საერთო კრება ჩვენთან.

მე-6 ტერლეგიონი.

25 ნოემბერს ლეგ. კლუბში შესდგა ნაწილის უფპოლიტშემადგენლობის და წითელ ჯარმიელთა საერთო კრება.

კრებას ხსნის ბიურო კოლექტივის მდივანი ამხ. ნამგალაძე, რომელიც კრებას აცნობს დღის წესრიგს. სხვა მნიშვნელოვან საკითხთა შორის იდგა მოხსენება ს. ს. რ. კ-ცაკის თავმჯდომარე ამხ. კალინინის დაბადებიდან 50 წ. შესრულების შესახებ.

ამ საკითხმა, განსაკუთრებით ახალწვეულთა შორის სიხარული გამოიწვია და ისინი დიდი ყურადღებით უსმენდნენ მომხსენებელს.

დღის წესრიგის ამ საკითხის შესახებ ვრცელი და შინაარსიანი მოხსენებას აკეთებს ამხ. ვ. ლორთქიფანიძე, რომელიც ვრცლად აღნიშნავს ამხ. კალინინის ცხოვრებას და მის მოღვაწეობას ოქტომბრის რევოლიუციამდე და მის შემდეგ ვიდრე დღემდე.

მოხსენების შემდეგ წითელ არმიელების მიერ იყო შეკითხვები, რასაც მომხსენებელმა გასცა სათანადო პასუხი. ბოლოს კრებამ გამოიტანა შესაფერისი რეზოლიუცია.

ასეთი შინაარსიანი კრებით ახალწვეულები ძლიერ კმაყოფილნი დარჩენ.

სამხკორი ე—ლი.

## კედლის გაზ. სარედაქციო კოლეგიის წევრთა მოსამზ. სემინარი.

მე-2-რე ლეგიონი.

ჩვენს ლეგიონში 6 ოქტომბრიდან გაიხსნა რედ-კოლეგიის წევრთა მოსამზადებელი სემინარი, რომლის მიზანი იყო ასეულების კედლის გაზეთების ხელმძღვანელების მომზადება. სემინარზე თითეულ ასეულიდან ესწრებოდენ მეცადინეობას სამსამი კაცი.

სამწუხაროდ სემინარის მეცადინეობა ვერ მიმდინარეობდა დამაკმაყოფილებლად, რომლის მიზეზად ჩაითვლება 1) ის, რომ ლეგიონს გაშვებული ჰყავდა უვადო შვებულებაში წით. არმიელები და ასეულებში ცოტა ხალხი იყო დარჩენილი და ისინიც ხშირად განწესებაში გადიოდნენ და მეცადინეობას აკლდებოდნენ.

2) მიზეზათ ჩაითვლება ის, რომ ის ამხანაგები, რომლებიც აქ მეცადინეობდნენ სხვა წრეებშიც იყვნენ ჩაწერილი და მეცადინეობას ამის გამო ვერ ესწრებოდენ ყოველთვის.

მე 3 მიზეზად შეიძლება ჩათვალოს ის, რომ სახელმძღვანელო მასალები ძალიან ცოტა მოიპოვებოდა.

მიუხედავად ყოველივე ამ ზემო აღნიშნულ დაბრკოლებებისა სემინარმა მაინც შესძლო დასახულ მიზნის მიღწევა.

ამ ჟამად ლეგიონის ყველა ასეულებში გამოდის საკუთარი კედლის გაზეთები.

ჯერ კიდევ 7 ნოემბრისათვის იქნა ყველა ასეულებში სადღესასწაულო ნომრები გამოშვებული.

გაზეთების გამოშვებას უმთავრესად ხელმძღვანელობენ სემინარ დამთავრებული წ. არმიელები, რომლებსაც დახმარებას უწევენ პოლიტხელებიც.

გაზეთების გამოშვებისათვის საჭირო თანხას ჯერ-ჯერობით იღებს ლეგიონის კლუბი და შემდეგისათვის ასეულის კომუჯრედმა უნდა ივალდებულოს.

თითქმის ყველა ასეულის გაზეთები კარგად არის გამოცემული. წერილები უმთავრესად წ. არმიელების მიერ არის დაწერილი.

ტეხნიკური მხარე ზოგიერთ ასეულების გაზეთების მოისუსტებს, მაგრამ თანდათან ცდილობენ გამოსწორებას.

გაზეთები დიდ ინტერესს იწვევს ახალწვეულ წ. არმიელებში და ზოგიერთ ასეულებში კიდევაც ჩაებენ ამ მუშაობაში.

სამხკორი ვ. ღ.

## მზადება მწვევამდელთა შეკრებისათვის.

უკვე რამოდენიმე დღეა რაც თბილისის მაზრის სამხედრო კომისარიატის მიერ დაიწყო 1904 წელში დაბადებულ ახალგაზრდათა აღწერა და მათი განაწილება სხვა და სხვა ნაწილებში, რომლებიც წერტებზე გაივლიან სამხედრო მომზადების პირველ საფეხურის პროგრამას.

ახალგაზრდები სიხარულით მიეშურებიან გასაწვევ წერტებისაკენ და ერთსულოვნად ცხადდებიან მიმღებ კომისიებში. ხშირია შემთხვევები, რომ ახალგაზრდები—მწვევამდელები მოითხოვენ პირდაპირ ჩარიცხვას რომელიმე ნაწილში ექიმების გაუსინჯავად. ყოველივე ეს მის მაჩვენებელია, თუ რამდენად უწევს ანგარიშს მომავალი თაობა—ახალგაზრდობა წითელი არმიის აღმშენებლობას და მის განმტკიცებას. წვევამდელი დღეს შეგნებულად ავსებს მწვევამდელთა რიგებს და პირნათლად იხდის თავის მოვალეობას. იმათმა კარგათ იციან, რომ მათ წერტებზე მოუწევთ სამხედრო და პოლიტიკური ცოდნის შეძენა, ნაწილის წითელ არმიელებთან დაახლოვება, წერტებზე არსებულ წრეებში მეცადინეობა, კომკავშირის ჯგუფებში მუშაობა და სხ.

წვევამდელთა შორის პოლიტსაგანმანათლებლო მუშაობის გასატარებლად სათანადო ორგანოების მიერ უკვე გადადგმულია ნაბიჯები და ამ დღეებში ტარდება პოლიტ-ხელების გადასამზადებელი სემინარ ბი. ა. ლ. კ. კ. ცეკას მიერ უკვე გამოყოფილია წვევამდელთა პოლიტ ხელები, რომლებიც სემინარების დამთავრების შემდეგ მიმაგრებულ იქნებიან წვევამდელთა მზადების წერტებზე.

ს. ჯავახოვი.

## ჩვენი ყოფა-ცხოვრება.

1-ლი ლეგიონის მე-2 ასეული.

ჩვენს ასეულში ყოველგვარი მუშაობა კარგად არის დაყენებული. პოლიტსაათი და სამხედრო სწავლა სისტემატიურათ მიმდინარეობს.

გვაქვს მოწყობილი ლენკუთხე სხვა და სხვა განყოფილებებით. მოგვდის გაზეთებიც. ყოველ საღამოს, თავისუფალ საათებში ვიკრიბებით ლენკუთხეში და ვიწყებთ გაზეთის ხმამაღალ კითხვას და წაკითხულის გარჩევას, რომელშიაც წითელი არმიელები მხურვალე მონაწილეობას ღებულობენ.

ეჩვევიან წესიერ შეკითხვების მიცემას და ერთმანეთთან კამათს. ასეთი თავისუფალი წრე ძალიან აინტერესებს წ. არმიელებს და როცა დროს იშოვნიან ხარბათ ეწაფებიან გაზეთის კითხვას.

წ. ა დედანა.

## მოსპეთ ნაკლულევანებანი

### განათების საქმე კიდევ არ მოწესრიგდა.

ცხენ. ლეგიონი.

ლეგიონის ახალწვეულები ძლიერ დაინტერესებული არიან წიგნებისა და გაზეთების კითხვით. თავისუფალი დრო უმთავრეს დ საღამოობით გვაქვს და მხოლოდ მაშინ გვეძლევა კითხვის საშვალება. სამწუხაროდ ეს დრო უბრალოდ გვეკარგება, რადგან ისეთი ცუდი განათებაა ყაზარმებსა და ლენკუთხეში, რომ ასოების გარჩევა ყოვლად შეუძლებელია. მიიღეთ ზომები, მოაგვარეთ განათების საქმე.

სამხკორი პ. ნ—ლი.

### მოგვეცით საცვლები.

ცხენ. ლეგ. საკავშირო გუნდი.

აგერ სამი კვირაა მას შემდეგ, რაც კარანტინიდან ყაზარმებში გადმოგვიყვანეს, მაგრამ არ იქნა და ვერ მოგვარდა თეთრეულის მოწოდების საქმე. ყოველ კვირაში დავდივართ აბანოში და ბანაობის შემდეგ გვიხდება ისევ ძველი ჭუჭყიანი საცვლების ჩაცმა. გვეძლევა მხოლოდ პერანგები და მისი ამხანაგი კი არა, რის გამო სისუფთავის დაცვა შეუძლებელი ხდება. რატომ არ მოაგვარებს ამ საქმეს სამნეო ნაწილის უფროსი.

სამხკორი ლალი.

### ლენინის კუთხეში საჭიროა სიწყნარე.

მე 6 ლეგ. სკოლა.

ლეგ. სკოლაში დაარსებული გვაქვს მშვენივრად მოწყობილი ლენკუთხე. წ. არმიელები თითქმის ყველა თავისუფალ საათებში იქ არიან და გატაცებით კითხულობენ როგორც ჟურნალ-გაზეთებს, ისე წიგნებს. სამწუხაროდ იქ მეცადინეობა ხშირად შეუძლებელი ხდება, რადგანაც იქვე ხშირად მართავენ სიმღერებს, ცეკვა-თამაშს და ხშირად პურსაც არიგებენ. ყველა ეს ძლიერ უშლის ხელს კუთხეში მომეცადინე ამხანაგებს და ისინი იძულებული ხდებიან თავი მიანებონ კითხვას.

დროა ბოლო მოეღოს ამ უწესრიგობას.

ახალწ. ი. ჭუჭუა.

### შეგვიკეთეთ საჯინიბო.

მე-2 არტლეგიონი—1-ლი დივიზიონი.

ჩვენს დივიზიონს საკუთარი ძალით მოუხდა, როგორც ყაზარმების, ისე საჯინიბოს შეკეთებაც. შევაკეთეთ შიგნი კედლები და გამოვასუფთავეთ, მაგრამ სახურავის გამოცვლა კი ვეღარ შევსძელით. განსაკუთრებით ცუდ მდგომარეობაშია საჯინიბოს სახურავი, ცხენებს აწვიმს და ცივდებიან. არც ფანჯრები და კარები აქვთ.

საჭიროა იზრუნონ მის შესახებ. გადაარჩინეთ ცხენები გაცივებას.

წ. არმ. ლილუაშვილი.

### მოგვეცით ლენკუთხისთვის ლიტერატურა.

1-ლი ლეგ. სამთო ბატარეია.

ბატარეიაში გვაქვს ლენინის კუთხე, მაგრამ ლიტერატურა შიგ არ მოიპოვება. ლეგიონის სხვა კუთხეები მდიდარია შესაფერი ლიტერატურით და საკვირველია რატომ არ გვაქცევენ ჩვენ ყურადღებას. გაზეთებიც ცუდათ ნაწილდება: არ მოგვდის არც ერთი დიდი გაზეთი. „წითელი არმიელი" რომ არ მოგვდიოდეს სულ ცარიელი დავრჩებით.

დროა მოგვაქციონ ყურადღება და ნუ დაგვტოვებენ ასე გარიყულად.

წ. არმ. გ. ჯ.

## პარტიული ცხოვრება

პარტიული მუშაობა 1-ლ ლეგიონში.

პარტ-მუშაობა ჩვენს ლეგიონში სისტემატიურად მიმდინარეობს და კარგ შედეგებსაც იძლევა. ნაწილის ბიურო-კოლექტივის ხელმძღვანელობა დამაკმაყოფილებლად უნდა ჩაითვალოს.

ამ ჟამად ყველა ასეულებში ჩამოყალიბებულია ასეულების პარტ-უჯრედები და ბიურო-კოლექტივი აძლევს მათ სათანადო დირექტივებს, ახსნა-განმარტებას და სხვა. ბიურო-კოლექტივის სხდომასთან ერთად ნაწილში ხშირად ეწყობა კომუჯრედების მდივნების თათბირები, რამაც ჩვენს ლეგიონის პარტ-მუშაობას თავისებური დადებითი კვალი დააჩნია. პარტიულ დღეთ დანიშნული გვაქვს პარასკევი და ამ დღეს ყოველ მიზეზ გარეშე ეწყობა კომუჯრედების კრებები.

ჩვენთან შემოღებულია თვეში ერთხელ უჯრედის ღია კრებები, სადაც მონაწილეობას იღებენ უპარტიო ამხანაგებიც. ასეთმა კრებებმა დიდი ნაყოფი გამოიღო და აამაღლა პარტიის ავტორიტეტი უპარტიო მასაში და გამოიწვია უპარტიოების მასიური ლტოლვა ჩვენს პარტიაში. უპარტიო ამხანაგებს შემოაქვთ განცხადებები პარტიაში მიღების შესახებ და ასე ივსება ღირსეული ძალებით ჩვენი პარტია.

გარდა ამისა ბიურო-კოლექტივი აწარმოებს მასიურ მუშაობას კლუბის საშვალებით და უწევს მას კარგ ხელმძღვანელობას, გამოაცოცხლა მუშაობა წრეებში, ლენკუთხეებში, ბიბლიოთეკაში და სხ.

ბიურო-კოლექტივს და ჩვენს უჯრედებს კავშირი აქვთ სამოქალაქო ორგანიზაციის პარტორგანოებთან; მე-9 იანვრის უჯრედთან, ტყავ-ტრესტის უჯრედთან, სოფ. დიღომთან და მესამე რაიკომის სხვა უჯრედებთან, რამაც დაამყარა სოლიდარული კავშირი ჩვენსა და მუშებს შორის. ამასთან ერთად მესამე რაიკომში გაყვანილია ერთი ჩვენი წევრი რაიკომის წევრად, რაც აღრმავებს მუშაობასა და კავშირს ჩვენსა და სამოქალაქო ორგანიზაციებს შორის.

გარდა ამისა ბიურო კოლექტივი კარგს ხელმძღვანელობას უწევს ახ. კ. კ. მუშაობას. ნაწილში შექნილია ასეულების ჯგუფები, რომლებიც აწარმოებენ სათანადო მუშაობას. აღსანიშნავია, რომ ახალწვეულების მიღების დროს დიდი პროცენტი მიიღო ლეგიონმა ახ. კ. კ. წევრები, რომლებიც იჩენენ მუშაობაში სათანადო ინიციატივას, რაც იმედს იძლევა, რომ ჩვენი მუშაობა ამ მხრით დამაკმაყოფილებელი და ნაყოფიერი იქნება.

სამხკორი ს. ინაიშვილი.

### გაერთიანებული კრება.

27 ნოემბერს 2 ქართ. მსრ. დივიზიის ტერ-ესკადრონში შესდგა კომუჯრედის გაერთიანებული მორიგი კრება „კარტონაჟის“ ქარხნის მუშებთან ერთად. განარჩევი იყო მხოლოდ ერთი საკითხი: ტფილისის კომიტეტის პლენუმის ანგარიშები სამაზრო—სამოქალაქო კონფერენციასთან დაკავშირებით. ქართულად მოხსენება გააკეთა ამხ. ჰანტურიშვილმა, მხოლოდ რუსულად კი ამხ. იესევიჩმა. მოხსენება უმთავრესად ეხებოდა იმ მთავარ ხაზებს, რომელიც აღებული ქონდა ტფილისის კომიტეტს თავის ერთი წლის საქმიანობაში, განსაკუთრებით პოლიტ-პარტ-პროფ მუშაობის ხაზზე.

მომხსენებელმა აღნიშნა გარკვევით აგიტ-პროპ მუშაობის მთავარი გეზი და მიზანშეწონილად სცნო თეკას მიერ მიღებული დებულება პოლიტ-სკოლების ქსელის გაფართოების შესახებ; ეს საკითხი ცხოველი იდგა ჩვენს პარტიაში, რადგან ზოგიერთ, პარტიულ ამხანაგები ჩამოცილებული იყვნენ პოლიტიკურ განვითარებას.

ტფილისის კომიტეტმა საჭიროდ სცნო აგრეთვე წითელ არმიასთან კავშირის განმტკიცება, როგორც ძირითად ისე უმაღლეს ორგანიზაციებში, ესეც მტკივანი ადგილი იყო ჩვენს წარსულ მუშაობაში. მოხსენების შემდეგ იყო მრავალი შეკითხვები და გაიმართა კამათი, საბოლოო რეზოლიუციაში კრებამ დაავალა ქარხნის და ესკადრონის კომუჯრედების ბიუროებს, გამოიმუშავონ მარტივი და სწორი თეზისები საქმიანობის შესახებ მომავალ კრებაზე წარსადგენათ.

დაგო.

## ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ!

გაავრცელე გაზ. „წითელ არმიელი“. მოუწოდე ყველას გამოიწერონ ის. ეს შენი ვალია!

## ᲐᲮᲙᲝᲛᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲚᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ.

### ᲐᲕᲘᲠᲩᲘᲔᲗ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲢᲝᲠᲘ.

მე-2-რე ლეგიონის მე-9 ასეული.

აღნიშნულ ლეგიონის მე-9-რე ასეულის კომ-კავშირის წევრები დღემდე გათქვეფილნი იყვნენ კომ-პარტიის წევრებში და განაგრძობდენ მუშაობას მათთან ერთად. მაგრამ ნოემბრის შუა რიცხვებში კომკავშირელები გამოეყვენ კომ-პარტიის უჯრედს და დაიწყეს ცალკე მეცადინეობა კომუჯრედის ხელმძღვანელობით. ამ ჟამად უკვე არჩეულია სათანადოთ მომზადებული ორგანიზატორი ამხ. ჩხეტია, რომელიც დღიდან ამორჩევისა შეუდგა თავის მოვალეობის ასრულებას. ის ხშირად ახდენს წითელ კუთხეში ღია კრებას, აშუქებს ამა თუ იმ საინტერესო საკითხებს და სხ. კრებას ყოველთვის ესწრებიან როგორც კომკავშირელები, ისე უპარტიოები.

დარწმუნებული ვართ, რომ ამხ. ჩხეტია კიდევ უფრო გააორკეცებს მუშაობას და ყველას შესძენს სათანადო ცოდნას.

წ. არ. ესაია ქურციკიძე.

### მეტი ყურადღება კომკავშირელის გააქტივებას.

ახალწვეულ წითელ არმიელების კარანტინიდან წითელ ყაზარმაში გადმოყვანის დღიდან, მეექვსე ტერლეგიონის უმცროს მეთაურთა სკოლაში თავი მოიყარეს 100-მდე კომკავშირის წევრებმა და კანდიდატებმა.

საქართველოს გასაბჭოების ხუთი წლის თავისათვის შესაფერი აქტიური ამხანაგების მომზადებას ყველგან დიდი ყურადღება ექცევა, მაგრამ სკოლაში ამ მხრივ არავითარი სამზადისი არა სჩანს. სკოლაში უკვე დამთავრდა ამხ. დანაწილება ოცეულებად. ამხანაგებთან მუშაობა უფრო გაადვილებულია ასეთი დანაწილების შემდეგ და ამ გარემოებას შესაფერი ყურადღება უნდა მიექცეს.

ამას გარდა, სკოლაში თავმოყრილ ახკომკავშირელების უმრავლესობას, არავითარი საბუთები არა აქვთ იმის შესახებ თუ როგორ მუშაობას ეწეოდენ ისინი სამოქალაქო უჯრედებში. საჭიროა დროზე იქნეს ეს გარემოებაც გამორკვეული, რომ უფრო საფუძვლიანათ შეიძლებოდეს სათანადო მუშაობის გაჩაღება. ყურადღებაა საჭირო ვისგანაც ჯერ არს.

ახალწვეული ი. ჭოჭუა.

### მე-6 ტერლეგიონი.

21 ნოემბერს ლეგიონში შედგა ახკომკავშირის გაერთიანებული კრება, რომელზედაც უნდა არჩეულიყო ახკომკავშირის ტფილისის ორგანიზაციის მე-3 რაიკომის 13-ტე კონფერენციაზე გასაგზავნი დელეგატები.

პირველად წაკითხული იქნა რაიკომის ცირკულიარი, რომლიდაც გავეცანით კონფერენციის დღის წესრიგს და საარჩევნო ნორმას.

შესაფერი მოხსენების შემდეგ, არჩეული იქნენ კონფერენციისათვის 8 დელეგატი, რომელთა რიცხვში შევიდნენ ახალწვეული ახკომკავშირლებიც.

კრებამ გამოიმუშავა ნაკაზი დელეგატებისათვის, რომელშიდაც აღნიშნულია ყველა ის საჭირბოროტო საკითხები წითელ არმიელთა ცხოვრებიდან, რომლებიც მათ უნდა გაამუქონ კონფერენციაზე და დაიცვან ისინი.

იმედია დელეგატები პირნათლად შეასრულებენ ყველა ამ დავალებებს.

სამხკორი გ—ლი.

## ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ.

— ბამბის ქარხანა ქუთაისში. დღეს ქუთაისში მოხდება ბამბის ქარხნის საზეიმო გახსნა.

— საქ. ავიაქიმის ვერცხლის ლატარიის გათამაშება იწარმოებს 1, 2 და 3 დეკემბერს. გათამაშების სახელმძღვანელოთ საქ. ავიაქიმთან მოეწყო ცალკე კომისია. გათამაშებულ იქნება ვერცხლის ნივთები 7154 მანეთის ღირებულების.

— აზერბეიჯანის სოც.-უზრ. კომისარიატმა მიმართა საქართველოს სოც-უზრუნველყოფის სახ. კომისარიატს გააცნოს მას თავისი მუშაობის გეგმები.

— აგრონომების გადამზადე ბა. 20 იანვრიდან მიწ. მოქ. კომისარიატი ტფილისში ხსნის აგრონომების გადასამზადებელ კურსებს.

— ბოტანიკური ბაღის მორწყვა. მიწათ-მოქ. კომისარიატი შეუდგა ბოტანიკური ბაღის მოსარწყავათ მუშაობას. მუშაობას ხელმძღვანელობს ინჟ. გეგეჭკორი.

— ტრაქტორები ამერიკიდან. ა. კ. სახ. ვაჭრობამ მიიღო ცნობა, რომ ამერიკიდან უკვე გამოვიდა გემი, რომელსაც ამიერ-კავკასიისათვის მოაქვს 150 ტრაქტორი.

— ავტომობილების მიღება ამ დღეებში ა. კ. სახ. ვაჭ. კომისარიატი მიიღებს 35 ახალ ავტომობილს.

— სახალხო კომისართა საბჭომ ბათომ ტრაპეზუნდის შორის რკინის გზის გაყვანის ყველა მოწყობილობა გადასცა შავი ზღვის სანაპირო რკინის გზის გამყვან სამმართველოს.

— საექიმო პუნქტები. თვითმპყრობელობის დროს მთელ საქართველოში არსებობდა 36 სასოფლო-საექიმო პუნქტი, ეხლა კი გახსნილია 218.

— ტფილისის აღმასკომს განზრახვა აქვს წელს, სასოფლო-მეურნეობისათვის მთელ ტფილისის მაზრაში დახარჯოს 191.581 მანეთი.

### ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲐ.

— წარმოდგენა სამხ. მოსამსახურეთათვის. ოთხშაბათს მცირე წითელ თეატრში (წითელ არმიელთა კლუბში) გაიმართება წარმოდგენა სამხ. მოსამსახურეთათვის. მიდის პიესა რუს. ენაზე „ოვოდ!“

— რუსთაველის თეატრში დღეს წარმოდგენილ იქნება „ჰამლეტი“, პირველი შემადგენლობის მონაწილეობით.

— მუშებში. ტრამვაის ადგილკომმა მოაწყო ტრამვაელ მუშებში მუსიკალური და სამხატვრო წრეები.

## ᲐᲛᲑᲔᲑᲘ ᲡᲝᲤᲚᲔᲑᲘᲓᲐᲜ

**დახმარება სკოლას.** ზუგდიდის აღმასკომმა გადასწყვიტა დახმარების სახით მისცეს სოფ. კორცხელის სკოლას 300 მანეთი.

**თელავის აღმასკომმა** დაადგინა დაჩქარებით შეუდგეს ქალაქში ჩამომავალ ხევის შეკეთებას.

**ზუგდიდში თეატრის** ასაშენებლათ სამაზრო აღმასკომმა უფასოთ გადასცა ქალ. ეკლესიის ნანგრევები.

**დუშეთის აღმასკომმა** დაადგინა შეიძინოს წერა-კითხვის უცოდ. სალიკვიდაციო სკოლებისათვის 768 მანეთის ნივთები.

**საყოველთაო სწავლება.** აჭარის მაზრებში შემოღებულია სავალდებულო საყოველთაო სწავლება სასკოლო ჰასაკის ბავშვთათვის.

## ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲐ

### მოლაპარაკე კინო სურათები.

ამ უკანასკნელ ხანებში კინო წარმოება დიდ მიღწევებამდე მიდის. ერთ ასეთ მიღწევად უნდა ჩაითვალოს მოლაპარაკე კინო სურათების გამოგონება. საქმე იმაშია, რომ მაყურებელი კინო სურათებთან ერთად ისმენს ხილულ გმირების ლაპარაკს და იმ ბუნების ძალების ხმაურს, რომელთა პირობებში უხდებათ მოქმედება ეკრანის გმირებს.

ეს ამოცანა ნაწილობრივად შესრულებული იქნა, მაგრამ მისი ფართოდ გამოყენება ჯერ არ უშინჯავთ. მხოლოდ მეცნიერული მიზნებისათვის მიმართავენ მას ჯერ-ჯერობით.

მეტად საინტერესო სან—ფრანცისკოს (ჩრდ. ამერიკ. შეერთებულ შტატებში) რადიო სადგურის მოქმედება ამ მხრივ, რომლიდანაც ერთ და იმავე დროს მოეწყო მოლაპარაკე კინო სურათების დემონსტრაცია—ჩვენება მახლობელ 12 ქალაქების კინო თეატრებში. აი როგორ მოხდა ეს:

ერთი და იმავე სურათი ერთ და იმავე დროს იქნა ნაჩვენები ყველა კინო თეატრებში და გადამცემ რადიო სადგურში. რადიო სადგურის შენობაში, სადაც მიდიოდა ეს სურათი, იმყოფებოდენ ყველა ის კინო მსახიობები, რომლებიც მონაწილეობას ღებულობდენ კინო სურათში. თითეული მათგანი იდგენ მიკროფონებთან და სურათში აღნიშნული მოქმედების დროს თითეული მათგანი სიტყვებით ასრულებენ თავის როლებს. ყველა აღნიშნულ ქალაქების კინო-თეატრებში დადგმული იყვნენ მიმღები რადიო სადგურები ხმამაღლა მოლაპარაკეებით, რომელთა მეოხებით მთელ დარბაზში გარკვევით გაისმოდა მომქმედ პირების გარკვეული ხმა ლაპარაკი.

ცოტა გაძნელდა ერთ და იმავე დროს ყველა თეატრებში კინო სურათების ჩვენება, მაგრამ ეს სიძნელენიც მოხერხებულად იქნა გვერდშევლილი.

**ახალი ელექტრო მავალები.** ცნობილ ამერიკელ კაპიტალისტის, ფორდის ქარხნები, რომლებიც მხოლოდ ავტომობილებს ამზადებდენ, ამ ჟამად შეუდგენ ჰაეროპლანების და ელექტრო მავალების დამზადებას რკინის გზებისათვის.

ელექტრო მავალებს აქვთ 5.000 ცხენის ძალა, მისი სიგრძე აღწევს 36 მეტრამდე, აქვს 32 ბორბალი და განიყოფება ოთხ ნაწილად.

## ᲩᲕᲔᲜᲘ ᲤᲝᲡᲢᲐ.

**ამხ. ლ. გიორგაძეს** (1-ლი მესანგრე) თქვენი კორესპონდენცია „ცალკე მესანგრე ასეული“ ძლიერ დაკვიანებულია. სწერეთ იმის შესახებ, თუ რა კეთდება ახალწვეულებთან და როგორ მუშაობენ ეს უკანასკნელები.

**ამხ. ვ—ს** (მეთაურთა სკოლა) თქვენი საპასუხო წერილი ჯინჯეროულისადმი არ დაიბეჭდება. კლუბის მუშაობის შესახებ უკვე იყო ჩვენს გაზეთში ამხ. ჯინჯეროულის წერილის შემდეგ ს. ვანანის წერილი.

**ამხ. ჯვარელს** (მეთაურთა სკოლა) წერილი, სკოლის შესახებ არ დაიბეჭდება.

**ამხ. ძეგორელს** (3-მე ლეგსკოლა), თათოშვილს და ლენკუთხელს (ლაზარეთი) თქვენი კორესპონდენციები: „მიაქციეთ ყურადღება“, „მიმართვა ახალწვეულებისადმი“ და „დიდი საყვედურის ღირსია“, არ დაიბეჭდება. სწერეთ სხვაზე.

**ამხ. ნივას** (3-მე ლეგიონი) კორესპონდენცია „საჭირო გაფრთხილება“ გადაეცა ადგ. კედგაზეთისთვის.

**ამხ. ზანგალიძეს** არ დაიბეჭდება. დასწერეთ გარკვევით თუ რაზე სწერთ.

**ამხ. ნაძალადევს.** წერილი ქალებსა და არმიელებზე არ დაიბეჭდება.

## ვის აქვს საწინააღმდეგო?

1-ლ ქარ. მსრ. დივიზიის ცალკე მესანგრე ასეულის კომუჯრედში შემოტანილი აქვთ განცხადებები შემდეგ ამხანაგებს:

1) ხუციშვილი რაფიელ მიხეილის ძეს სამოსწავლო ოცეულის მეთაური, დუშეთის მაზრიდან ქალ. დუშეთიდან, გლეხი. 2) კვიციანიძე რაჟდენ დომენტის-ძეს შორაპნის მაზრიდან სოფ. შუქრუთი, გლეხი, ოცეულის მეთაური. 3) ბლუაშვილი გრიგორი პავლეს-ძეს ხარაგოულის თემი, სოფ. ზარანიდან, შორაპნის მაზრიდან, წითელი არმიელი, გლეხი.

პირველ ორს შემოტანილი აქვთ განცხადება კომ-პარტის წევრათ გადარიცხვის შესახებ, მესამეს კი კომ-პარტიაში კანდიდატათ მიღებაზე. თუ ვინმეს რამე საწინააღმდეგო გაქვთ ამ ამხანაგების შესახებ გთხოვთ გვაცნობოთ 10 დღის განმავლობაში, ცალკე მესანგრე ასეულის კომუჯრედში.

ცალკე მესანგრ. ასეულის კომუჯრედი.

## ᲗᲣ ᲕᲘᲜᲛᲔᲛ ᲠᲐᲘᲛᲔ ᲘᲪᲘᲡ.

1922 წელში გაწვეული იქნა წითელი ჯარის რიგებში ემსო დიმიტრისძე, ხუციძე თელავის მაზრის სოფ. ზემო ალვანის მცხოვრები. დაბადებული 1900 წ. წერა-კითხვის უცოდინარი. გაწვევის შემდეგ მშობლებმა არაფერი იციან მის შესახებ. ვსთხოვ ყველა მოქალაქეებს, სამხედრო პირებს და სხვას თუ ვინმემ რაიმე იცით ჩემი შვილის ე. ხუციძის შესახებ, გვაცნობოთ გაზ. „წითელ არმიელის“ საშვალებით.

## ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ.

დეკემბრის 2, საღამოს 5 საათზე ქართ. დივიზიის ცენტრალურ კლუბში შესდგება პროფ. ლ. მ. მელიქსეტ-ბეკოვის ლექცია მეთაურთა და პოლიტშემადგენლობისთვის თემაზე:

### „ᲐᲛᲘᲔᲠ-ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐ“.

აგიტპროპნაწილის დრ. უფროსი ე. ხუციშვილი.

**დაიკარგა** მეორე ქართ. მსრ. დივიზიის ცალკე საკავშირო ასეულის ჩეკის წიგნის № 331-ს მოთხოვნილება № 70. ჩაითვალოს გაუქმებულად.

ასეულის მეთაური ებანოიძე.

სამხკომი ახობაძე.